KA020168797741317

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ᵃ (ყოფილი ბელინსკი)
10ᵃ, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 12/8309 **01 / დეკემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ბატონო ზაზა,

გაცნობებთ, რომ გაეროს სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაცია - ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირიდან (ITU) მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს გაიმართება კონკურსი (WSIS Prizes 2018), იმ საუკეთესო პროგრამების ან/და პროექტების გამოსავლენად, რომლებსაც საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით.

ქვეყნის ინტერესებში შედის აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი იქნეს საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროგრამები ან/და პროექტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, თქვენი სამინისტროს სისტემაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროგრამების ან/და პროექტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია 2018 წლის 2 იანვრამდე შეავსოთ WSIS-ის ვებ-გვერდზე: www.wsis.org/prizes და აღნიშნულის შესახებ გვაცნობოთ.

დამატებითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ზემოაღნიშნულ WSIS-ის ვებ გვერდზე ან დაუკავშირდეთ ჩვენს საკონტაქტო პირს: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის ელექტრონული კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამმართველოს უფროს სპეციალისტს გურამ კელეპტრიშვილს (ტელ.: +995 32 299 10 41, ელ. ფოსტა: gkeleptrishvili@economy.ge).

დანართი: ITU-ს გენერალური მდივნის წერილი - 4 (ოთხი) ფურცლად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი